



საქართველო გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 1

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. გარდაბანი
31.01.2024

1-06-4-202401311750



ქონების მართვის ელექტრონულ პროგრამაში (www.eproperty.ge) აღრიცხული აქტივების საინვენტარიზაციო ნუსხაზე დამატების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“
24-ე მუხლის მეორე ნაწილისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის 2024
წლის 23 იანვრის N18-1824023100 წერილის შესაბამისად, გარდაბნის
მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ვ ვ ი ტ ა :

მუხლი 1

მიეცეს თანხმობა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერს, გარდაბნის
მუნიციპალიტეტის მერიის აქტივების სრულყოფილად აღრიცხვისა და
ინვენტარიზაციის პროცესის მოწესრიგების მიზნით, „საბიუჯეტო
ორგანიზაციების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის
ჩატარების და ინვენტარიზაციის შედეგების საჯარო სექტორის ბუღალტრული
აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე აღრიცხვა-
ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის №364 ბრძანების
შესაბამისად, არსებულ საინვენტარიზაციო ნუსხას დაემატოს ქონების მართვის
ელექტრონულ პროგრამაში (www.eproperty.ge) აღრიცხული აქტივები.

მუხლი 2

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.
მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

